ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N14

ქ.თბილისი

16 მარტი, 2018 წელი
15^{30}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დავით უჯმაჯურიძე

რამინა ბერაძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ბირბიჩაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ გრიგოლია - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ირაკლი ზარქუა - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი მუსხელიშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

ვახტანგ შაქარიშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სტრასბურგში მივლინებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 26-29 მარტს მიემგზავრება სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სხდომაზე დასასწრებად. მასთან ერთად, სტრასბურგში მიემგზავრებიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ბექა დავითულიანი და თამარ ტალიაშვილი. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მივლინების ხარჯებს აანაზღაურებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. 2018 წლის 26-29 მარტს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სხდომაზე დასასწრებად, მივლინებული იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მასვე დაევალოს, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა და ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ბრძანების გამოცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი